



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 042/14<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*ზურა ფარქოსაძე (სტუდენტი)*

### ფაქტები

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა და მოითხოვა პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატისათვის დისციპლინული პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხებოდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის განცხადებებს დაზარალებულის მიმართ, რომელიც შეიცავდა შემდეგი შინაარსის ფრაზებს: „მოვუწოდებ ბატონ გ.გ.-ს, შეწყვიტოს „ზრუნვა“ ჩემს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და მიხედოს საკუთარ ალკოჰოლდამოკიდებულებას“; „ნუ მაიძულებს გ. გ. დავაწყობინო ის ფულები, რაც მისი შვილის მკვლელობის საქმეში აქვს აღებული“; „და კასრზე დავაწყობინო ის ფულები, რაც მისი შვილის მკვლელობის საქმეში საკომპენსაციოდ აქვს აღებული!“ საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული განცხადებები მიზნად ისახავს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას და არის შეურაცხმყოფელი იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ისედაც უმძიმესი ტრაგედია გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ავტორი განცხადებების ადრესატი არ ყოფილა, მისი განმარტებით, ადვოკატის ფრაზეოლოგია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მთლიანად ადვოკატთა ასოციაციის საიმედოობას და ეთიკურობას. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, საჩივარში მითითებული ამონარიდი ფრაზები ადვოკატმა გაავრცელა სოციალური ქსელის, ფეისბუქის პირად გვერდზე იმ განცხადებების საპასუხოდ, რომელიც პროცესის მონაწილე დაზარალებულმა მასმედიის საშუალებით გაავრცელა ადვოკატზე.

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ სოციალურ ქსელში მოცემული ფრაზები უნდა შეფასებულიყო მთლიანი ინტერვიუს შინაარსიდან გამომდინარე და არა მხოლოდ ადვოკატის განცხადებებით. დაზარალებულმა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუებში განაცხადა, რომ ადვოკატი არის ავადმყოფი, შიზოფრენიკი და ფსიქიკურად დაულაგებელი. ის არის შემოგზავნილი ინტრიგანი, რომელიც ცდილობს მხარე გამოიწვიოს ჩხუბში; თავის დროზე ქრთამის აღებისთვის ყოფილა დაპატიმრებული და ასე შემდეგ. ადვოკატის განმარტებით, ფრაზა - „და კასრზე დავაწყობინო ის ფულები, რაც მისი შვილის მკვლელობის საქმეში საკომპენსაციოდ აქვს აღებული!“ ნიშნავდა იმას, რომ თუ იგი დაზარალებულს სასამართლოში უჩივლებდა პატივისა და ღირსების შელახვისათვის, საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოუწევდა თანხის გადახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით შვილის მკვლელობის საქმეზე მიღებული კომპენსაციიდან. ეთიკის კომისიამ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია და აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ იმის დაზუსტება, თუ კონკრეტულად რომელი თანხიდან მოუწევდა მოწინააღმდეგე მხარეს ღირსების შელახვის გამო კომპენსაციის გადახდა, არ შეიძლება ჩაითვალოს მხარის შეურაცხყოფად. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ თავისთავად ტერმინი „ალკოჰოლდამოკიდებულება“ არ შეიცავს შეურაცხყოფას, ხოლო თუ ინფორმაცია პიროვნების ალკოჰოლდამოკიდებულების შესახებ არასწორია და ლახავს ამ პიროვნების პატივისა და ღირსებას, ეს საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია. კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ადვოკატის მიერ გამოყენებული ფრაზები იყო მხოლოდ პასუხი დაზარალებულის მიერ ამ ადვოკატის შესახებ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინტერვიუებზე. ადვოკატს

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c5068fbcd46e.pdf/5c5068fbcd46e.pdf>

გააჩნია გარკვეული პროფესიული თმენის სტანდარტი, რომელიც არ არის ამოუწურავი და უსაზღვრო. ადვოკატს უფლება აქვს პასუხი გასცეს მის მიმართ გავრცელებულ არასწორ და მისი აზრით შეურაცხმყოფელ ინფორმაციაზე, მით უმეტეს, როდესაც ეს პასუხი მიზნად არ ისახავს მეორე მხარის შეურაცხყოფას. სადავო კომენტარები წარმოადგენს ადვოკატის სუბიექტურ შეფასებას და მოსაზრებას სისხლის სამართლის საქმის თაობაზე. ადვოკატმა გააკეთა შეფასებები დაზარალებულის მიმართ და გამოთქვა აზრი, რაც წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებული იყო გამონათქვამების ავტორის შეხედულებებზე. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორის მოსაზრება განპირობებული იყო სოციალურ ქსელში გამოთქმული მოსაზრებისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულებით და არ ემყარებოდა ობიექტურ გარემოებებს. ადვოკატის მოსაზრებები თავისი შინაარსით მიზნად არ ისახავდა საჩივრის ავტორის მიმართ არასწორი ინფორმაციის გავრცელებასა და შეურაცხყოფას. შესაძლოა საჩივრის ავტორს არ მოსწონდეს ადვოკატის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მიცემული ინტერვიუს შინაარსს არ ეთანხმებოდეს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ადვოკატმა უსათუოდ შეზღუდა დაზარალებულის, როგორც პროცესის მონაწილის, უფლებები და შეულახა ღირსება.

### **დასკვნა**

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს არ დაურღვევია სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების პატივისცემის ვალდებულება და არ აღძრა დისციპლინური დევნა.